ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N8.

თარიღი: 05.04.2023 წ.

დადგენილება 24.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N1.

თარიღი: 15.01.2025 წ.

დადგენილება N13.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სამსახური, რომელშიც ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტიც, წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს;

1.2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის დებულების, პერსონალის მართვის წესის და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. სამსახურის მართვა და ფუნქციები

2.1. სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, ექიმი და სპეციალისტი სამეურნეო საქმიანობის კუთხით. სამსახურს წარმართავს ხელმძღვანელი, სამედიცინო კაბინეტს - ექიმი, ხოლო სამეურნეო საქმიანობას სპეციალისტი. ზემოაღნიშნულ პირებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

2.2. სამსახურის ამოცანებია:

ა. უნივერსიტეტის მთელს პერიმეტრზე უსაფრთხოების კონტროლის განხორციელება;

ბ. დისციპლინის დაცვა უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით დადგენილი მოთხოვნებით;

გ. წესრიგის დამრღვევი სტუდენტების გამოვლენა;

დ. უნივერსიტეტის ქონების დაზიანების შემთხვევაში ქონების დაზიანების ფაქტის გამოკვლევა და დაზიანებაში მონაწილე პირის/პირების შესახებ ინფორმაციის წარდგენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის;

ე. სათვალთვალო კამერების საშუალებით შენობაში მიმდინარე პროცესებზე კონტროლის განხორციელება კანონმდებლობის სრული დაცვით;

ვ. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების განხორციელება და შესაბამისი ინვენტარის არსებობა;

ზ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის საევაკუაციო გეგმების თვალსაჩინოება და მათი მუდმივი მონიტორინგი;

თ. საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სტუდენტებთან და პერსონალთან უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ;

ი. მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებაში.

2.3. სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციები

ა. ახორციელებს დისციპლინის დაცვას უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით და დისციპლინური პასიხისმგებლობის ნორმებით დადგენილი მოთხოვნებით;

ბ. ახორციელებს წესრიგის დამრღვევი სტუდენტების გამოვლენას;

გ. ზრუნავს უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების უსაფრთხოებაზე;

დ. სათვალთვალო კამერების საშუალებით აწარმოებს შენობაში მიმდინარე პროცესებზე კონტროლს კანონმდებლობის დაცვით;

ე. ახორციელებს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების კონტროლს და მისი დაზიანების შემთხვევებს;

ვ. უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას. ამ მიზნით ადმინისტრაციულ შენობაში სპეციალისტების მითითების შესაბამისად თვალსაჩინო ადგილას განათავსებს ცეცხლმაქრ ბალონებს და პასუხისმგებელია მათი ვარგისიანობის პერიოდულ შემოწმებაზე;

ზ. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას ევაკუაციის გეგმის განთავსებას;

თ. ვალდებულია ჩაატაროს საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და პერსონალთან უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ;

ი. კონტროლს უწევს თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესახებ გაკეთებულ მითითებებს შენობაში;

კ. აღასრულებს რექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და სამართლებრივ აქტებს;

ლ. მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირებაში.

2.4. სამედიცინო კაბინეტის ექიმის ფუნქციები

ა. საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;

ბ. გარკვეული ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების შემთხვევაში და პრევენციის მიზნით უფასო სამედიცინო კონსულტაციებისა და დახმარების გაწევა;

გ. სამედიცინო ინვენტარის განახლება და მის ვარგისიანობაზე კონტროლი.

2.5. სამეურნეო საქმიანობის სპეციალისტი

ა. უნივერსიტეტის მომარაგება საჭირო რესურსებით;

ბ. უნივერსიტეტის მხარდაჭერა სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებში;

გ. უნივერსიტეტში არსებული ინვენტარის/ტექნიკური აღჭურვილობის დაზიანების შემთხვევაში მისი შეკეთების პროცესში ჩართულობა;

დ. სხვადასხვა მიმართულების ხელოსნების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მონიტორინგი;

ე. სხვადასხვა ინვენტარისა და ნივთების საჭიროების განსაზღვრა;

ვ. ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება.

მუხლი 3. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

3.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

3.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

3.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

3.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.